სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85181967587411

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110722149

რეგისტრაციის თარიღი

12.07.2011 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო

ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ

2011 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის შესახებ

ქ. თბილისი 12 ივლისი 2011წ.

პრეამბულა

ვინაიდან ამ ხელშეკრულების გაფორმებით მხარეები გამოხატავენ თავიანთ ნამდვილ ნებას, ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას, გაიზიარონ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ვინაიდან მხარეებს სურვილი აქვთ და თანხმდებიან პარტნიორულ ურთიერთობებზე,

და ვინაიდან ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მხარეები არ მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე, რაც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან/და შეუძლებელს გახდის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გაზიარებული პირობების შესრულებას,

ამ გარიგებასა და სამოქალაქო კოდექსის 930-დან 940-ე მუხლების დაყრდნობით, წინამდებარე დოკუმენტით მხარეები დებენ ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობის (შემდგომში „ამხანაგობის“) შესახებ და თანხმდებიან შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების დადების დრო, ადგილი, სახელი და იურიდიული მისამართი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2011 წლის 12 ივლისს.

1.2. წინამდებარე ამხანგობის სახელი იქნება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა **„გეოთური“**

1.3. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა **„გეოთური“** იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, სოფელი დიღომი „დიდი დიღომი“

მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:
ერთის მხრივ –

- **მურათ ბეჭარ** (დაბადებული 20.09.1973წ. თურქეთში, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №72, ბინა №5, პ/მ №დ 1132834, პირადი №01008050291 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 28.01.2008წ.)

შემდგომში "მესაკუთრედ" წოდებული

მეორეს მხრივ - "წევრები":

– **მუზაფერ გაზიოღლუ** – (დაბადებული 01.05.1950წ. ჰოფაში, პირადი ნომერი – 29119095950, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი ტიპი P, კოდი TUR, პასპორტის ნომერი – U01919781 გაც. 13.04.2011წ.) (წარმოდგენილი **მურათ ბექარის სახით)**

– **ეშრეფ თანდოღანი** – (დაბადებული 07.05.1971წ. დაღბაშის რ-ნი, პირადი ნომერი – 53779591354, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი – TR-U № 393556 გაც. 17.06.2008წ.) (წარმოდგენილი **მურათ ბექარის სახით)**

– **ემინ შექერჯი** – (დაბადებული 25.09.1968წ. თურქეთში, ერბააში, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი ტიპი ტრ-ვ №511225 გაც. 08.06.2009წ.) (წარმოდგენილი **მურათ ბექარის სახით)**

მუხლი 3. ხელშეკრულების სახეობა და მიზანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მესაკუთრისა და წევრების გადაწყვეტილება მესაკუთრის **მურათ ბექარის** (პირადი ნომერი – 01008050291) კუთვნილი უძრავი ქონების ბაზაზე – კერძოდ: – 1097კვ.მ. **მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, „დიდი დიღომი“, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია №01.72.14.035.549,** შემდგომში ("მიწის ნაკვეთი") მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის (შემდგომში „პროექტის“) განხორციელების შესახებ.

3.2. **მურათ ბექარის** განცხადებით მის მიერ ამხანაგობაში შესატანი უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათას) აშშ დოლარს ანუ 91 300 (ოთხმოცდათერთმეტი ათას სამას) ლარს.

„წევრების შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს ინვესტიცია, რომელიც საჭიროა ამ სახლის ასაშენებლად, კერძოდ:

– **მუზაფერ გაზიოღლუ** – 10 000 აშშ დოლარი ექვივალენტს ლარებში;

– **ეშრეფ თანდოღანი** – 10 000 აშშ დოლარი ექვივალენტს ლარებში;

– **ემინ შექერჯი** – 10 000 აშშ დოლარი ექვივალენტს ლარებში;

ხელშეკრულების მონაწილეთა მიზანია, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (შემდგომში „შენობა-ნაგებობის“) ასაშენებლად.

3.3. „შენობა-ნაგებობა“ უნდა აშენდეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის მახასიათებელია: სარეგისტრაციო ზონა – თბილისი –- 01, სექტორი - 72, კვარტალი - 14, ნაკვეთის 035/549, ნაკვეთის წინა №01.72.14.035.063; 01.72.14.035.386, ფართობი - 1097კვ.მ. (დაზუსტებული), ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის საკუთრების ტიპი -საკუთრება.

3.4. „შენობა-ნაგებობის“ სართულების რაოდენობა და სხვა მახასიათებლები დგინდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

3.5. ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად ხელშეკრულების მონაწილეები ახორციელებენ შენატანებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების მხარეთა შენატანები

4.1. ამხანაგობის მონაწილეების (წევრების) შენატანებს წარმოადგენს:

4.1.1 „მესაკუთრე“ - წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული "მიწის ნაკვეთი".

4.1.2 „მესაკუთრის“ უფლებები „უძრავ ქონებაზე“, ასევე ამ ქონების აღწერილობა და სხვა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში:

- 2011 წლის 14 ივნისს მომზადებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №882011270801 - 08/06/2011წ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.035.549);

მუხლი 5. ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილების წესი

5.1 ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება ხელშეკრულების მხარეთა შორის ნაწილდება ამხანაგობის დამფუძნებლებს შორის თანაბარწილად.

5.2 ყველა სხვა ფართი (სადარბაზო, ლიფტის ბლოკი, ეზო) და მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, რომლის მოვლა პატრონობა და განკარგვა არის ამხანაგობის ყველა წევრის უფლება-მოვალეობა.

მუხლი 6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 „მესაკუთრის“ დაპირებები და ვალდებულებები:

6..1.1. „მესაკუთრე“ იღებს ვალდებულებას და იძლევა დაპირებას, რომ

- წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღეს ახორციელებს შენატანს ამხანაგობაში იმ უძრავი ქონების სახით, რაც ამ ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტშია მითითებული და მის (“მესაკუთრის“) საკუთრებას წარმოადგენს;
- არ მოახდენს აშენებული სახლის ფასადის ნებისმიერი ფორმით შეცვლას ამხანაგობის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- მიიღებს ყველა ზომას და გამოიყენებს ყველა კანონიერ საშუალებას „პროექტის“ წარმატებით განსახორციელებლად;
- კეთილსინდისიერად შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ სხვა ვალდებულებებს.

6.2. „მესაკუთრე“ უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს „წევრებს“ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შენატანის განხორციელება მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში;
- მოსთხოვოს „წევრებს“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა;
- განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

6.3 „წევრების“ ვალდებულებები:

6.3.1 „წევრები“ იღებენ ვალდებულებას და იძლევიან დაპირებას, რომ

- წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში დაასრულონ აღნიშნულ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და შეასრულონ ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამატებითი მოქმედებები აღნიშნული მიზნის მისაღწევად;
- მიიღონ ყველა ზომა და გამოიყენონ ყველა კანონიერი საშუალება „პროექტის“ წარმატებით განსახორციელებლად;
- კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.4 „წევრები“ უფლებამოსილნი არიან:

- მოსთხოვოს „მესაკუთრეს“ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შენატანის განხორციელება ამხანაგობაში;
- მოსთხოვოს „მესაკუთრეს“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა;

- განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 7. ერთობლივი საქმიანობის მართვა

7.1 ერთობლივი საქმიანობის მართვის ორგანოებია:

- ამხანაგობის საერთო კრება;
- ამხანაგობის თავმჯდომარე;

7.2 ერთობლივი საქმიანობის მართვის უმაღლესი ორგანოა ამხანაგობის საერთო კრება.

7.3 საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა 2/3 ხმათა რაოდენობით.

7.4 ერთობლივი საქმიანობის მართვას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.

7.5 ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე:

- უძღვება ამხანაგობის საქმიანობას;
- ახორციელებს წარმომადგენლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და დებს ყველა სახის გარიგებებს, გარდა ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვისა, რისთვისაც სჭირდება საერთო კრების გადაწყვეტილება.
- ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

7.6 ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ჩამოერთვას ამხანაგობის საქმეების მართვის უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

7.7 ხელშეკრულების მონაწილეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და ნოტარიულად დამოწმებისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 11. ხელშეკრულებიდან გასვლა

11.1. მხარეებს უფლება არა აქვთ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გავიდნენ ერთობლივი საქმიანობიდან.

11.2. ხელშეკრულებიდან ერთ-ერთი მონაწილის გასვლა არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება. ამხანაგობის სახელით წევრების ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულ მხარეს მიყენებული ზარალი ფულადი თანხის გადახდით.

მუხლი 12. განსაკუთებული პირობა

12.1. წევრების მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება გაუქმდება და მესაკუთრეს დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული შენატანი.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

13.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები. სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, სასამართლო პროცესები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.3. თუ ნებისმიერი ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

13.4. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

13.5. შეუტყობინებლობის და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1 ხელშეკრულების ეგზემპლიარები

ეს ხელშეკრულება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც ერთი გადაეცემა მხარეს, ერთი – ნოტარიუსს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. მინდობილობები.

14.2. ცვლილება

ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი სანოტარო წესით გაფორმების შემთხვევაში. ცვლილება, შესწორება და დამატება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

14.3. მარეგულირებელი კანონი და დავის გადაწყვეტა

14.3.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3.2. მხარეთა შორის არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

14.3.3 შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

14.4 კანონიერება

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება არაკანონიერად, ამგვარი დებულების ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ქმედითობაზე.

14.5. შეტყობინებები

ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობითი ფორმით პირადად, ფაქსით ან/და სხვა ელექტროგადამცემი საშუალებებით, ან დაზღვეული ფოსტით სანდო კურიერის მეშვეობით.

14.6 სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

14.6.1. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ამ ხელშეკრულების მხარეებზე და მათ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

მუხლი 15. მხარეთა ხელმოწერები

მურათ ბექარ ----------

მუზაფერ გაზიოღლუს წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

ეშრეფ თანდოღანის წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

ემინ შექერჯის წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

სანოტარო აქტი

ორიათას თერთმეტი წლის თორმეტ ივლისს, მე ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76, პირველი სართული, მომმართეს **მურათ ბექარმა თვითონ და როგორც მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის და ემინ შექერჯის წარმომადგენელმა (თანახმად მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის მიერ 2011 წლი 29 ივნისს გაცემული მინდობილობისა რეესტრი №110664572 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ და 2011 წლის 06 ივლისს ემინ შექერჯის მიერ გაცემული მინდობილობისა რეესტრი №110693587 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ.), რომელმაც მოითხოვა ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შედგენა** და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე **მურათ ბექარის** პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მურათ ბექარმა** (დაბადებული 20.09.1973წ. თურქეთში, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №72, ბინა №5, პ/მ №დ 1132834, პირადი №01008050291 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 28.01.2008წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ უფლებამოსილებაში და ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე შევამოწმე ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში ნაჩვენები უძრავი ქონება 1097კვ.მ. კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი №035/549 მდებარე **ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, „დიდი დიღომი", ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი,** საკუთრების უფლებით ნამდვილად ეკუთვნის **მურათ ბექარს** (პირადი ნომერი – 01008050291), რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომლის განცხადების რეგისტრაციის №882011270801 - 08/06/2011წ, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი №01.72.14.035.549 ამონაწერის მომზადების თარიღია 14/06/2011წ.,

უძრავი ქონებების დეტალური დახასიათება მოცემულია ზემოთ აღნიშნულ ამონაწერში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის.

ამხანაგობის წევრთა შენატანები ამხანაგობაში განისაზღვრება 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით ანუ 141 100 (ას რომოცდაერთი ათას ასი) ლარით.

მე დავადგინე მხარეთა ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგაც მხარეს განეუმარტე ხელშეკრულების შინაარსი აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, **მურათ ბექარმა** განაცხადა, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მის სურვილს, მის ნებას, რის შემდეგაც **მურათ ბექარმა თვითონ და როგორც მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის** და **ემინ შექერჯის წარმომადგენელმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
2. საკადასტრო რუკა
3. მინდობილობები.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, ნოტარიუსის საზღაური 444 ლარი და 70 თეთრი, (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა) აგრეთვე დ.ღ.გ 80 ლარი და 05 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის 31[1]-ე მუხლისა):: – სულ გადახდილია 526 ლარი და 75 თეთრი.

ნოტარიუსი ---------- ნ. ბაკურაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.14.035.549

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882011270801 - 08/06/2011 10:55:12

მომზადების თარიღი
14/06/2011 14:23:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	**72**	**14**	**035/549**

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდ დიღომი" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:1097.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.72.14.035.063; 01.72.14.035.386;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011229446 , თარიღი 17/05/2011 15:22:52
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/06/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/04/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/04/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- განცხადება მიწის მიმნობრივი დანიშნულების შეცვლაზე , დამოწმების თარიღი:17/05/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- განცხადება მიწის მიმნობრივი დანიშნულების შეცვლაზე , დამოწმების თარიღი:17/05/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
მურათ ბექარ ,P/N: 01008050291

მესაკუთრე: **აღწერა:**
მურათ ბექარ

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.72.14.035.549*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011270801
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1097* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 09.06.11



მასშტაბი1:500

0 2.5 5 10 15 მეტრი

01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მშენებარე ნაგებობა

მიწისქვეშა ნაგებობა

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ჩ.ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სადამფუძნებლო
გადაწყვეტილება №1

ქ. თბილისი 2011 წლის 12 ივლისი

მე, მურათ ბექარმა ჩემი და ჩემი მარწმუნებლების მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის დ. ემინ შექერჯის (თანახმად მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის მიერ 2011 წლი 29 ივნისს გაცემული მინდობილობისა რეესტრი №110664572 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ და 2011 წლის 06 ივლისს ემინ შექერჯის მიერ გაცემული მინდობილობისა რეესტრი №11069358 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ.) სახელით მივიღე შემდეგი სახის გადაწყვეტილებები.

– ჩამოვაყალიბო ამხანაგობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და მას ეწოდოს სახელწოდება: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა **„გეოთური“**.

– **აღნიშნულ ამხანაგობას საკუთრებაში გადავცე ჩემს** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 1097კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მდებარე **ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, „დიდი დიღომი“, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი.**

– ამხანაგობის წევრებად მიღებულნი იქნენ:

მუზაფერ გაზიოღლუ – (დაბადებული 01.05.1950წ. ჰოფაში, პირადი ნომერი – 29119095950, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი ტიპი P, კოდი TUR, პასპორტის ნომერი – U01919781 გაც. 13.04.2011წ.) (წარმოდგენილი **მურათ ბექარ სახით)**

ეშრეფ თანდოღანი – (დაბადებული 07.05.1971წ. დაღბაშის რ-ნი, პირადი ნომერი – 53779591354, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი – TR-U № 393556 გაც. 17.06.2008წ.) (წარმოდგენილი **მურათ ბექარ სახით)**

ემინ შექერჯი – (დაბადებული 25.09.1968წ. თუქეთში, ერბააში, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი ტიპი ტრ-ვ №511225 გაც. 08.06.2009წ.)

– ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა **„გეოთური“**-ს თავმჯდომარედ არჩეული ვიქნე მე, **მურათ ბექარ** (დაბადებული 20.09.1973წ. თურქეთში, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №72, ბინა №5, პ/მ №დ 1132834, პირადი №01008050291 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 28.01.2008წ.), რომელიც ამხანაგობას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

– მიღებული იქნეს ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება წარმოდგენილი სახით.

დამფუძნებელბი:

მურათ ბექარ ----------

მუზაფერ გაზიოღლუს წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

ეშრეფ თანდოღანის წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

ემინ შექერჯის წარმომადგენელი
მურათ ბექარ ----------

სანოტარო აქტი

ორიათას თერთმეტი წლის თორმეტ ივლისს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **მურათ ბექარი თვითონ და როგორც მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის და ემინ შექერჯის წარმომადგენელი (თანახმად მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის მიერ 2011 წლი 29 ივნისს გაცემული მინდობილობისა რეესტრი №110664572 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ და 20 წლის 06 ივლისს ემინ შექერჯის მიერ გაცემული მინდობილობისა რეესტრი №110693587 დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის მიერ.), რომელმაც წარმოადგინა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის გადაწყვეტილება №1 და მოითხოვეს მასზე მისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.** მე დავადგინე მისი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მურათ ბექარმა** (დაბადებული 20.09.1973წ. თურქეთში, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №72, ბინა №5, პ/მ № 1132834, პირადი №01008050291 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 28.01.2008წ.) მომმართა. მე შევამოწმე **მურათ ბექარის** ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, მის სურვილს, რის შემდეგაც **მურათ ბექარმა თვითონ და როგორც მუზაფერ გაზიოღლუს, ეშრეფ თანდოღანის და ემინ შექერჯის წარმომადგენელმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე გადაწყვეტილებას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, ნოტარიუსის საზღაური (წინამდებარე გადაწყვეტილების 3 გვ ზემოთ შესრულებული 12 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 24 ლარი, (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 4 ლარი და 32 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 30 ლარი და 32 თეთრი.

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე

საქართველო · ნოტარიუსი · ნანა ბაკურაძე · GEORGIA · NOTARY · NANA BAKURADZE · 01024030536

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110831906
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.08.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	91476026868811

გადახდილია სანოტარო საზრაური დღგ ჩათვლით _____

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე _____

01024030536

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge, ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18